



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი №18145/05)

გადაწყვეტილება  
სტრასბურგი

2008 წლის 8 ივლისი

**საბოლოო გახდა**  
**08/10/2008**

*წინამდებარე გადაწყვეტილებაში, შესაძლოა, შევიდეს რედაქციული ცვლილებები*

საქმეზე გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,  
შემდეგი შემადგენლობით:  
ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე,  
ირენეუ კაბრალ ბარეტო,  
ვლადიმერო ზაგრებელსკი,  
დანუტე ჯოშიენე,  
ანდრას შაიო,  
ნონა წოწორია,  
ისილ კარაკასი, მოსამართლეები,  
და სალი დოლე, განმწესრიგებელი.  
2008 წლის 17 ივნისის დახურულ სხდომაზე განხილვის შემდეგ, ამავე დღეს,  
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№18145/05) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2005 წლის 27 აპრილს, სასამართლოში შემოიტანა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა კობა გიგოლაშვილმა („მომჩივანი“) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი მალხაზ ჯანგირაშვილი, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას თბილისში ახორციელებს. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახემლწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი დავით თომაძე, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2007 წლის 25 ივნისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობისათვის კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შეტყობინების შესახებ, რომელიც ეხებოდა მომჩივნის წინასწარ პატიმრობაში ყოფნას შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. კონვენციის 29-ე (§3) მუხლის თანახმად, სასამართლომ აგრეთვე გადაწყვიტა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. მხარეების მოლაპარაკებები მორიგების შესახებ უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად შეხსენებებისა, ვერცერთმა მხარემ ვერ წარმოადგინა საჩივრის დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებული განმარტებები. თუმცა 2007 წლის 11 ნოემბრის წერილში, მომჩივანმა გარკვევით მიუთითა, რომ მას სურდა, სასამართლოს განეხილა მისი საქმე.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს ქ. რუსთავში.

6. 2003 წლის 6 დეკემბერს მომჩივანი პოლიციამ დააკავა ნარკოტიკების უკანონო შენახვის ბრალდებით.

7. 2003 წლის 8 დეკემბერს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ გაიზიარა პროკურორის არგუმენტი, მხედველობაში მიეღო მომჩივნისათვის წარდგენილი წინა ბრალდება, რომლისთვისაც იგი გამოსაცდელი ვადით იქნა გამოშვებული, რაც წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს, რომ ახალი პროცესის დაწყებამდე, იგი თავს აარიდებდა სასამართლოში გამოცხადებას.

8. 2004 წლის 19 თებერვალს გამოძიებამ მომჩივანსა და ორ სხვა პიროვნებას წარუგინა დანაშაულის განზრახ ჩადენის, იარაღის უკანონო ფლობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდება.

9. 2004 წლის 4 მარტს თბილისის საოლქო სასამართლომ მომჩივანს პატიმრობის ვადა 2004 წლის 5 მაისამდე გაუხანგრძლივა.

10. 2004 წლის 29 აპრილს საქმის მთავარმა გამომძიებელმა მომჩივანსა და ორ სხვა დაკავებულ პირს გამოძიების დასრულების შესახებ აცნობა და საქმის მასალების გაცნობა შესთავაზა. მომჩივანმა გააპროტესტა გამოძიების დასრულება და მოითხოვა დამატებითი მოწმეების დაკითხვა. 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით, იმ არგუმენტით, რომ მომჩივანს ადრეც შეეძლო ამ მოთხოვნით მიმართვა, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, როგორც პროცესის გაჭიანურების მცდელობა.

11. 2004 წლის 5 მაისს მომჩივნის პატიმრობაში ყოფნის პერიოდი ამოიწურა მისი გახანგრძლივების თაობაზე შესაბამისი სასამართლო ბრძანების გარეშე.

12. 2004 წლის 13 მაისს მომჩივანმა საჩივრით მიმართა კომპეტენტურ ბრალმდებელ ორგანოს 2004 წლის 5 მაისამდე უკანონო პატიმრობაში ყოფნის თაობაზე. მან ასევე გაასაჩივრა გამოძიების ნაადრევად დასრულება.

13. 2004 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის 2004 წლის 13 მაისის საჩივარი. რაც შეეხება 2004 წლის 5 მაისამდე სავარაუდო უკანონო პატიმრობას, პროკურორი ამტკიცებდა, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის ვადა არ ითვლებოდა პატიმრობის ვადაში. რამდენადაც მომჩივანმა და მისმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლა დაიწყეს 2004 წლის 30 აპრილს, რასაც ადასტურებს გამომძიებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერები, იმ დროიდან მომჩივნის დაკავება შეუძლებელია უკანონოდ ყოფილიყო მიჩნეული.

14. 2004 წლის 8 ივლისს, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა, სისხლის სამართლის საქმე, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, განსახილველად გაუგზავნა უზენაეს სასამართლოს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, 3 ბრალდებული და მათი იურისტები საქმის მასალებს განიხილავდნენ 2004 წლის 30 აპრილიდან 7 ივლისამდე.

15. 2004 წლის 26 ოქტომბერს, მომჩივანმა უზენაეს სასამართლოში შიტანა სარჩელი, ასაჩივრებდა რა, სხვებს შორის, იმ ფაქტს, 2004 წლის 5 მაისის შემდეგ მისი პატიმრობაში დატოვების შესახებ არავითარი სასამართლო გადაწყვეტილება არ არსებობდა. როგორც პროკურორმა განმარტა, საქმის მასალების შესწავლის დრო არ ჩათვლილა პატიმრობის ვადად. მომჩივანმა, მრავალ ფაქტობრივ დეტალზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ უპირველეს ყოვლისა, მისმა იურისტმა ეს საკითხი სრულყოფილად შეისწავლა 30 აპრილსა და 1-ლ მაისს, ორსაათნახევარში. გარდა ამისა, იგი დავობდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამომძიებლის ფორმალური ჩანაწერები იყო სარწმუნო, საქმის განხილვა დასრულებულად 2004 წლის 8 ივლისამდე უნდა ჩათვლილიყო. იმის გათვალისწინებით, რომ მისი საქმე სასამართლოს მხოლოდ 2004 წლის 8 ივლისს გადაეგზავნა, მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ იგი სულ მცირე, 10 დღის განმავლობაში, ის უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, მომჩივანმა დაუყოვნებლივ განთავისუფლება მოითხოვა.

16. 2004 წლის 27 ოქტომბერს, უზენაესმა სასამართლომ მომჩივნისა და 2 სხვა პიროვნების საქმის განხილვის შემდგომ, მათ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 427-ე, 425-ე და 428-ე მუხლების თანახმად. უკანონო თავისუფლების აღკვეთის შესახებ მომჩივნის მტკიცებაზე პასუხის გაცემის გარეშე, სასამართლომ შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება „ბრალდების ხასიათზე“ დაყრდნობით და დასაშვებობის ეტაპზე განთავისუფლების შესახებ მომჩივნის არგუმენტების ამომწურავი სამართლებრივი შეფასების უუნარობის საფუძველზე.

17. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2005 წლის 6 მაისს, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა იურისდიქციაზე სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სასარგებლოდ. 2005 წლის 31 მაისს მომჩივანმა გაასაჩივრა უკანონო პატიმრობაში ყოფნა ამ უკანასკნელის წინაშე, წინა არგუმენტებზე დაყრდნობით.

18. 2005 წლის 20 ივლისს, თბილისის საოლქო სასამართლომ უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის საჩივარი. საქმის ყველა გარემოების საფუძველიანი განხილვის შემდეგ, სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მოპასუხეებმა და მათმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლა დაიწყეს 2004 წლის 30 აპრილს, გამოძიების დასრულებისთანავე (2004 წლის 29 აპრილს). ეს პროცესი გაგრძელდა 2004 წლის 7 ივლისამდე, ერთი დღით ადრე, სანამ საქმე პროკურორის მიერ სასამართლოში გაიგზავნებოდა განსახილველად. იმის განმეორებით, რომ სსსკ-ის 406-ე (§4) მუხლის თანახმად საქმის გადამოწმების პერიოდი არ მოიაზრება პატიმრობაში ყოფნის ვადად, საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მომჩივნის

პატიმრობაში ყოფნა 2004 წლის 30 აპრილიდან 7 ივლისამდე არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

19. 2006 წლის 5 ივლისის ბრძანებაში უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მომჩივნის სისხლის სამართლის საქმე გადაგზავნილ იქნა განსახილველად 2004 წლის 8 ივლისს. სსსკ-ის 680-ე (§4 (9)) მუხლის თანახმად წინასწარი დაკავების დასაშვები ვადა, 24 თვე, ამოიწურებოდა 2006 წლის 8 ივლისს. თავჯდომარემ გამოიყენა ამავე მუხლით არსებული პრეროგატივა, გაეზარდა პატიმრობის ვადა გამონაკლის შემთხვევებში და მომჩივანს პატიმრობის ვადა 2006 წლის 8 ნოემბრამდე გაუგრძელა.

20. თბილისის საოლქო სასამართლოს 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენით, მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა ზემოაღნიშნულ დანაშაულებში და მიესაჯა პატიმრობა 12 წლის ვადით. განაჩენის თანახმად, პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო მომჩივნის დაკავების დღიდან - 2003 წლის 6 დეკემბრიდან.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

21. *სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („სსსკ“), რომელიც ძალაში იყო მოცემულ დროს*

### **მუხლი 406§4 „საქმის მასალების გაცნობის დრო“**

„ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის გაცნობის დრო არ ჩაითვლება ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის კანონით დადგენილ ვადაში.“

### **მუხლი 417§§1 და 3 - „განსახილველად გადაცემა“**

„1. როდესაც არსებობს საქმის განხილვისთვის საკმარისი საფუძველი, მოსამართლე (სასამართლო), საქმის არსებითი ნაწილის განხილვის გარეშე აგზავნის მას სასამართლოში განსახილველად...“

3. დასაშვებობის განხილვის დროს, მოსამართლე (სასამართლო) სასამართლოში განხილვისთვის გადაცემასთან ერთად გადაწყვეტს აღკვეთი ღონისძიების დანიშვნის საკითხს.“

### **მუხლი 419 - „რეგლამენტი გადაგზავნის საკითხის განსახილველად“**

მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის საქმის განსახილველად გადაცემის საკითხი 14 დღის განმავლობაში, ან გართულებული საქმის შემთხვევაში, იმავე მოსამართლესთან (სასამართლოსთან) რეგისტრირებული ბოლო გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.“

სსსკ განასხვავებდა პატიმრობის ორ პერიოდს: დაკავება „გამოძიების განმავლობაში“, სანამ საქმეს გამოძიება მიმდინარეობდა და დაკავება „სასამართლო პროცესის განმავლობაში“, სანამ საქმეს სასამართლო განიხილებოდა. მართალია, პრაქტიკაში არ არსებობდა განსხვავება დაკავების ამ ორ პერიოდს შორის, მაგრამ ვადების დაანგარიშება განსხვავებული იყო.

2005 წლის 25 მარტის ცვლილებით, კოდექსის 680-ე (4) მუხლი შეიცავდა ზემოხსენებული დაკავების პერიოდის რეგულირების დროებით ნორმებს. 680-ე (4) §1) მუხლის თანახმად, ეს დროებითი ნორმები, განსაკუთრებით ისინი რომლებსაც შეიცავდა 680-ე (4) §9) მუხლი ძალაში რჩებოდა 162-ე მუხლის ძალაში შესვლამდე, რომელიც ითვალისწინებდა პატიმრობის უფრო მოკლე ვადას.

681-ე (§9) მუხლის თანახმად, 162-ე მუხლი ძალაში შევიდოდა 2006 წლის 1-ლ იანვარს.

680-ე ((4) §9)) მუხლის თანახმად, თუ მხოლოდ იურისდიქციის 2 საფეხური იყო ჩართული, „სასამართლო პროცესის განმავლობაში“ დაკავების დასაშვები ვადა 24 თვე იყო. „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს შეეძლო, აღნიშნული ვადა მაქსიმუმ 30 თვემდე.

2006 წლის 28 აპრილის ცვლილებამ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 13 მაისს, კიდევ შეასწორა 162-ე მუხლი. ამ ცვლილებით, 9 თვემდე შემცირდა „გამომძიებისა“ და „სასამართლო განხილვის“ მაქსიმალური დასაშვები ვადა. ამავდროულად 681-ე (§2) მუხლი შეიცვალა, რათა 162-ე მუხლი ამოქმედებულიყო 2007 წლის 1-ლი იანვრიდან. შედეგად, 680-ე (4) მუხლში არსებული დროებითი წესები დაკავების ვადებთან დაკავშირებით, ძალაში დარჩა 2007 წლის 1-ლ იანვრამდე (იხ. 680-ე (4) §1 მუხლი).

## *22. საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*

საჩივრით ეჭვქვეშ იქნა დაყენებული სსკ-ის 406-ე (§4) მუხლის კონსტიტუციურობა. 2003 წლის 16 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ დებულება არა მარტო არაკონსტიტუციური იყო, არამედ შეუსაბამო იყო კონვენციის მე-5 (§1) მუხლთან. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების არსებით ნაწილში დაადგინა, რომ „საგამომძიებო ორგანოებისათვის სირთულეების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით“, მაისი გადაწყვეტილების აღსრულება, სადავო დებულების გაუქმებით, გადავადებულიყო 2004 წლის 25 სექტემბრამდე.

## *23. 1996 წლის 31 იანვრის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით*

23-ე (§1) მუხლის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლიდა საკანონმდებლო დებულებას არაკონსტიტუციურად, ეს დებულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

25-ე (§3) მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს გამოტანისთანავე, მისი გამოცხადების შემდეგ, თუ სხვა თარიღი არ იქნა დადგენილი.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლის სავარაუდო დარღვევა

24. კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლის საფუძველზე, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მისი პატიმრობა 2004 წლის 5 მაისიდან უკანონო იყო. მან განაცხადა ისიც, რომ სსსკ-ს 680-ე (4) §4 მუხლი უკვე გაუქმებული იყო მაშინ, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ იგი პატიმრობაში დატოვა 2006 წლის 5 ივლისს. კონვენციის მე-5 (§1) მუხლის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად:...

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.“

#### ა. ზოგადი შენიშვნა

25. სასამართლო აცხადებს, რომ არც მთავრობას და არც მომჩივანს არ წარმოუდგენიათ განმარტებები საჩივრის დასაშვებობისა არსებითი ნაწილის თაობაზე მას შემდეგ, რაც მთავრობას გაეგზავნა შეტყობინება საჩივრის შესახებ. თუმცა, 2007 წლის 11 ნოემბრის წერილის განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოარკვია, რომ მომჩივანი ერთმნიშვნელოვნად ინარჩუნებს მის საჩივარში არსებულ ინტერესს (§§ 3-4). შესაბამისად, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს საჩივრის შესწავლა.

#### ბ. დასაშვებობა

*1. მომჩივნის 2004 წლის 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე დაკავების უკანონობის შესახებ*

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი, კონვენციის 35-ე (§3) მუხლის თანახმად, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველით. შესაბამისად ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

## 2. 2006 წლის 5 ივლისის დაკავების ბრძანება

27. მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მიერ გაცემული 2006 წლის 5 ივლისის დაკავების ბრძანება იყო უკანონო, რამდენადაც, მისი მიტკიცებით, ბრძანება გაიცა იმ დროისათვის უკვე გაუქმებული სსსკ-ს 680-ე (4) §9 მუხლის საფუძველზე.

28. სასამართლო შენიშნავს, რომ სსსკ-ს 680-ე (§4) მუხლი, რომელიც შეიცავს დაკავების პერიოდის გამოთვლის ნორმებს, ძალაში იყო 2007 წლის 1-ლ იანვრამდე. შესაბამისად, სსსკ-ს 681-ე (§2) მუხლის 2006 წლის 28 აპრილის ცვლილება ძალაში შევიდოდა 2006 წლის 13 მაისს და ვრცელდებოდა მათ შორის 680-ე (4) §9 მუხლში არსებული წესების კანონიერებაზეც, 2007 წლის 1-ლ იანვრამდე. (§21).

29. შედეგად, მომჩივნის პრეტენზიის ეს ასპექტი კონვენციის მე-5 (§1 „ც“) მუხლის შესაბამისად, აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის შესაბამისად.

## გ. არსებითი მხარე

30. სასამართლოს შენიშნავს, რომ 2004 წლის 4 მარტის ბოლო დაპატიმრების ბრძანება დასრულდა 2004 წლის 5 მაისს და მომჩივნის წინასწარი პატიმრობა ნათლად არ იყო ნებადართული სასამართლოს ბრძანებით (§§ 9 და 11). ეს სიტუაცია გაგრძელდა 2004 წლის 27 ოქტომბრამდე, როდესაც უზენაესმა სასამართლომ სსსკ-ის 417-ე (§3) მუხლის შესაბამისად, საქმე განსახილველად გადასცა და დაუშვა მისი დაპატიმრების გაგრძელება (§16).

31. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 (§1 „ც“) მუხლის დარღვევა დადგინდა მრავალ საქმეში, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა დაკავებას პატიმრობაში მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის შესწავლა და/ან რომ საბრალდებო დასკვნა გადაგზავნილ იქნა სასამართლოში საქმის განსახილველად. ბრალდებულების დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი წესების გარეშე - იმ შედეგით, რომ მათ თავისუფლება აქვთ აღკვეთილი განუსაზღვრელი ვადით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობისა და დაუსაბუთებელი დაკავებაგან დაცვის პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს კონვენციისა და კანონის უზენაესობის დამაკავშირებელ ფაქტორს (იხ. სხვებთან ერთად, ჯეკიუსი ლიტვის წინააღმდეგ, №34578/97, §§ 57-64, ECHR 2000-IX; სტასაიტისი ლიტვის წინააღმდეგ, №47679/99, §§ 56-61, 2002 წლის 21 მარტი; გრაუსლისი ლიტვის წინააღმდეგ, №36743/97, §§ 39-41, 2000 წლის 10 ოქტომბერი; ბარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ, №28358/95, §§ 53-58, ECHR 2000-III; ხუდოიოროვი რუსეთის წინააღმდეგ, №6847/02, §§ 146, ECHR 2005-...(ამონაწერები)).

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ განსხვავდება ზემოხსენებული *ბარანოვსკის*, *ჯეკიუსის* ან *ხუდოიოროვის* საქმეებისგან, რადგან



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და იმ დროის პრაქტიკაშიც მსგავსი დეფიციტია.

33. პირველი, 2004 წლის 5 მაისიდან 7 ივლისამდე მომჩივანი სსსკ-ს 406-ე (§4) მუხლის თანახმად, იმყოფებოდა პატიმრობაში მხოლოდ საქმის მასალების შესწავლის პროცესის მითითებით, რომელიც, მართალია შეესაბამება შიდა კანონმდებლობას (იხ. *ჯეკიუსი*, ციტირებული ზემოთ, §56 და *გრაუსლისი*, ციტირებული ზემოთ, §39), თუმცა სრულიად უცხოა კონვენციის მე-5 (§1) მუხლისათვის (იხ. მაგ., *ჯეკიუსი*, ციტირებული ზემოთ, §59). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემდგომში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სსსკ-ს 406-ე (§4) მუხლის კონვენციის მე-5 (§1) მუხლთან შეუსაბამობა (§22).

34. მეორე, 2004 წლის 8 ივლისიდან 27 ოქტომბრამდე მომჩივნის დაპატიმრება იყო გამართლებული იმ ფაქტით, რომ საქმე განსახილველად იყო გადაგზავნილი სასამართლოში. სასამართლო ამ მხრივ შენიშნავს, რომ იმ დროს მოქმედი სსსკ-ს 417-ე (§§ 1 და 3) მუხლის თანახმად, როდესაც პროკურორმა შეწყვიტა გამოძიება და უფლებამოსილ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გაუგზავნა, ამ უკანასკნელმა განიხილა საქმის დასაშვებობა და გადაწყვიტა, რამდენად საჭირო იყო ბრალდებულის საქმის განხილვა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მომჩივნის მიმართ.

35. თუმცა, პრობლემა წარმოიშვა ამგვარი მოსმენის ვადებთან დაკავშირებით. სსსკ-ის 419-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის განხილვა უნდა მომხდარიყო 14 დღის ვადაში ან, „რთული საქმეების“ შემთხვევაში, იმავე მოსამართლის მიერ ბოლო საქმის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. თუმცა ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შეზღუდული დრო „ბოლო“ საქმის გადაწყვეტისათვის. ამავდროულად, სსსკ არ ითხოვდა სასამართლოს ბრძანებას ბრალდებულის დაკავებისათვის და არც ამგვარი დაკავების ვადებს ადგენდა. ამგვარი სამართლებრივი ხარვეზი იწვევდა ყოველგვარი სამართლებრივი გადაწყვეტილების გარეშე ბრალდებულების თვეობით დაკავებას, როგორც ეს მოხდა მოცემულ საქმეში (იხ. *აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინ.), №57861/00, 2004 წლის 20 ივლისი; *რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინ.), №1704/06, 2007 წლის 26 ივნისი).

36. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2004 წლის 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე, 5 თვისა და 24 დღის განმავლობაში, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნის დაპატიმრების შესახებ. ის ფაქტი, რომ მომჩივანი და მისი ადვოკატი სწავლობდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომელიც საბრალდებო დასკვნასთან ერთად გადაეგზავნა შესაბამის კომპეტენტურ სასამართლოს განხილვისათვის, არ წარმოადგენდა მომჩივნის პატიმრობაში ყოფნის „კანონიერ“ საფუძველს კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლის გაგებით (იხ. *გრაუსლისი*, ციტირებული ზემოთ, §39; *ნახმანოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, №55669/00, §68, 2006 წლის 2 მარტი და *ხუდოიოროვი*, ციტირებული ზემოთ, §§ 149-1510).

37. ამდენად, იმ დროს განხორციელებული დაკავება წარმოადგენს კონვენციის მე-5 (§1 „c“) დარღვევას.

## I. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

### 38. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

39. მომჩივანს არ წარმოუდგენია სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მისთვის რაიმე თანხის მიკუთვნების საჭიროება.

### ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. დასაშვებად ცნობს მომჩივნის პრეტენზიას უკანონო წინასწარი პატიმრობის შესახებ 2005 წლის 5 მაისიდან და 27 ოქტომბრამდე, შესაბამისი სასამართლო ბრძანების გარეშე, ხოლო საჩივრის დარჩენილ ნაწილს - დაუშვებლად ;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლი.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2008 წლის 8 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით.

სალი დოლე  
განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი  
თავმჯდომარე